საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კანდელაკი ანდრო ვალერიანის ძე

ა. ვ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი. „ტელეფონი".

კანდელაკი ანდრო ვალერიანის ძე (15.III. 1916, პეტროგრადი, – 21.VI. 1988, თბილისი), მხატვარი, გრაფიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1965). დაამთავრა თბილ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინრების ინ-ტი (1946). ცნობილია როგორც კარიკატურისტი. 1952–88 თანამშრომლობდა ჟურნალ „ნიანგთან" და შექმნა მძაფრი სატირითა და ლაღი იუმორით გამსჭვალული კარიკატურების სერიები, რ-ებიც ზუსტად და ლაკონურად ასახავდა კონკრეტულ მოვლენასა თუ სიტუაციას. ავტორია პორტრეტებისა, რ-ებიც გამოირჩევა პიროვნების გარეგნული ნიშან-თვისებების ხაზგასმით.